

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

სატენდერო დოკუმენტაცია

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამორტიზირებული და მოსაწყობი წყალარინების ღია და დახურული ტიპის წყალშემკრები და წყალგადამყვანი სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის შესახებ

დაფინანსების წყარო – 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12¹ მუხლის და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად

ქ. ზუგდიდი, 2015 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი	3
2. ტექნიკური დავალება	3
3. სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაცია	7
4. სატენდერო წინადადების მომზადება და შევსების წესი	8
5. დანართი №1, გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა	9
6. დანართი №2, ინფორმაცია ანალოგური მომსახურების შესრულების გამოცდილების შესახებ	11
7. დანართი №3, პრეტენდენტის საინფორმაციო ბარათი	12
8. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი	13
9. სატენდერო კომისიის აპარატის იმ წევრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია, რომელსაც უფლება აქვს გასცეს ინფორმაცია და განმარტებები შესყიდვის პროცედურების შესახებ	18

1. გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი

ტენდერში გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამორტიზირებული და მოსაწყობი წყალარინების ღია და დახურული ტიპის წყალშემკრები და წყალგადამყვანი სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება.

2. ტექნიკური დავალება

2.1. მომსახურების გაწევის პირობები:

- ტენდერში გამარჯვებულმა მომსახურების გაწევა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდება უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან **40** (ორმოცი) სამუშაო დღეში.
- მითითებული ვადის გადაცდენის შემთხვევაში, თითო გადაცილებული დღისათვის მიმწოდებელს ჯარიმის სახით დაეკისრება პირგასამტეხლო, სახელშეკრულებო ღირებულების **1%**-ის ოდენობით.
- შესრულებული სამუშაოს საბოლოო მიღება-ჩაბარებამდე პრეტენდენტმა საკუთარი ხარჯებით უნდა უზრუნველყოს მომზადებულ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაზე ექსპერტიზის ჩატარება საამისოდ უფლებამოსილ ორგანიზაციასთან და ექსპერტიზის აქტის წარმოდგენა.
- **საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებაზე მომსახურების გაწევა, უნდა განხორციელდეს შემდეგი ტექნიკური მოთხოვნების გათვალისწინებით:**
 - ა) დეტალურად უნდა იქნას შესწავლილი გზებზე ყველა მიწისქვეშა კომუნიკაციებისა და მიწისზედა ქსელების განლაგება და დაცული იქნას მათგან ნორმატიული დაშორებები. მათი საჭიროების ადგილზე ხიდბოგირები და სათვალთვალო ჭები უნდა მოეწყოს მონოლითური რკინა-ბეტონით;
 - ბ) გეგმაზე დატანილ იქნას საპროექტო არხების მიმდებარე - ქუჩა, მათი არსებობის ადგილზე ჩიხი, შესახვევი და ეზოებიდან გადასვლების ადგილებზე საკარმიდამო ტერიტორიის მესაკუთრეთა დასახელება;
 - გ) საპროექტო მომსახურება მოახდინოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
 - დ) გათვალისწინებულ იქნას (შეთანხმება დამკვეთთან) დამკვეთის მოთხოვნა პროექტში აუცილებლობის შემთხვევაში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობაზე;
 - ე) დაპროექტების დროს მკაცრად უნდა იქნას დაცული ყველა სამშენებლო ნორმები და წესები, დარგობრივი ნორმები შრომის დაცვის კუთხით და უსაფრთხოების წესები, ასევე დაცული უნდა იქნას სამუშაო გარემოსათვის საჭირო საერთო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;

ვ) სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრულ შესასყიდ საქონელზე, სადაც მითითებული იქნება კონკრეტული სასაქონლო ნიშანი, მოდელი, წარმოშობის ქვეყანა ან მწარმოებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), იგულისხმება „მსგავსი“ ან „ეკვივალენტური“. აგრეთვე ხარჯთაღრიცხვაში, კონკრეტულ პუნქტ(ებ)ში, მასალის არსებობის შემთხვევაში, ზუსტად უნდა იქნას აღწერილი გამოსაყენებელი მასალის განზომილებები, ხარისხის აღმნიშვნელი სხვა აუცილებელი მახასიათებლები და შესაბამისი სტანდარტები;

ზ) პროექტები უნდა შეიქმნას ალბომებად. ალბომები უნდა შეიცავდეს შემდეგ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასა და ნახაზებს:

- 1) ნახაზების უწყისი;
- 2) განმარტებითი ბარათი;
- 3) არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა (ცალკე ციფრული ფორმატი);
- 4) მშენებლობის, სამუშაოთა წარმოების ორგანიზების პროექტი;
- 5) სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა-გრაფიკი;
- 6) სამუშაოთა მოცულობის კრებსითი-უწყისი;
- 7) მანქანა-მექანიზმების მოთხოვნის უწყისი;
- 8) რეპერების განლაგების გეგმა და უწყისი;
- 9) პიკეტაჟი და პიკეტაჟის კოორდინატები, პირობითი კოორდინატების ცხრილი, პიკეტაჟის შესაბამისად გრძივი და განივი პროფილები, დახურული სანიაღვრე მილგაყვანილობის ნახაზებზე დატანილი უნდა იყოს კომუნიკაციები;
- 10) ტოპონახაზი და სიტუაციური გეგმა სათანადო დეტალიზაციით;
- 11) კონსტრუქციული ნახაზები ჭრილებით და ფრაგმენტებით;
- 12) გამოსაყენებელი მასალების სპეციპიკაცია, მახასიათებლები და სტანდარტი;
- 13) დეფექტური უწყისებით შესასრულებელი სამუშაოების მოცულობებით შედგენილი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

თ) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შედგენილი უნდა იქნას საქართველოში 1992 წლამდე მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესებით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2011 წლის 18 თებერვლის ბრძანება №1/251-ით საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში ნებადართული სამშენებლო ნორმებისა და წესების, მიმდინარე სამშენებლო რესურსების ფასების კრებულისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილებით ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ზედნადები ხარჯებისა“ და „საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში ნებადართული სამშენებლო ნორმებისა და წესების“ გამოყენებით;

ი) ხარჯთაღრიცხვების შედგენისას პროექტების ღირებულება მიმწოდებელმა უნდა განსაზღვროს დასაბუთებული კალკულაციებით და ღირებულებებით, სამუშაოების სახეობების და კონსტრუქციული ელემენტების პროექტირებისას მიმწოდებელი ხელმძღვანელობს საერთაშორისო და საქართველოში მოქმედი შესაბამისი ნორმებით და სტანდარტებით;

კ) იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის დაშვებული ხარვეზის გამო მშენებლობის პროცესში აღმოჩნდება საპროექტო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას მიმწოდებელი იღებს თავის თავზე;

ლ) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის მოახდინოს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და პირებთან პროექტის საჭირო წინასწარი შეთანხმებები (ოფიციალური დოკუმენტის გაფორმებით), გარდა სამშენებლო მოედნისა, ტერიტორიის გამოყოფის და გათავისუფლებისა, რომელიც წარმოადგენს შემსყიდველის მოვალეობას;

მ) პროექტის საბოლოო მიღება-ჩაბარებამდე 10 (ათი) დღით ადრე წარმოდგენილ უნდა იქნას საპროექტო დოკუმენტაცია განსახილველად ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის

კაპიტალური მშენებლობის პროექტირების სპეციალისტთან შესთანხმებლად, რათა მოხდეს პროექტის დეტალურად გაცნობა, მასში კორექტირებების შეტანა და არსებული შესაძლო ხარვეზების დროული აღმოფხვრა;

ბ) პროექტის მიღება-ჩაბარებიდან, განხორციელებამდე (დამატებითი ანაზღაურების გარეშე) პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს საავტორო ზედამხედველობა პროექტის განხორციელების პროცესში, საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით კონსულტაციის გაწევა, საჭიროებისამებრ საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება, პროექტისა და შესრულებული სამუშაოების იდენტიფიკაციის დადასტურება.

გ) ნებისმიერი საკითხის წარმოქმნის შემთხვევაში აუცილებელია შეთანხმება ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის პროექტირების, ხარჯთაღრიცხვისა და ინსპექტირების განყოფილების სპეციალისტებთან;

დ) მომსახურების მიწოდების ადგილია ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია ზ. გამსახურდიას გამზ. №45;

ე) პრეტენდენტი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ბეჭდური სახით 3 (სამი) ეგზემპლარად (ყველა გვერდი უნდა იქნეს სათანადოდ უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული) და მისი შესაბამისი ელექტრონული ვარიანტი. ელექტრონულ ვარიანტში ტექსტური დოკუმენტაცია (ხარჯთაღრიცხვა, განმარტებითი ბარათი და ა.შ.) უნდა იყოს დაბეჭდილი შრიფტით Sylfaen, Excel ან Word-ის ფორმატში ჩაწერილი CD ან DVD დისკზე) ხოლო ნახაზები და სქემატური ნაწილი უნდა იყოს PDF ფორმატში (DWG, PLN და PDF ფაილებით) ამასთანავე, PDF ფორმატის თითოეული ფაილის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 7 მეგაბაიტს.

2.2. დავალების შესრულების წესი:

პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს თითოეული სანიაღვრე არხის და მონაკვეთის ცალკე ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვის მომზადება. ნებისმიერი სამუშაოს დაპროექტება შეთანხმებული უნდა იყოს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის კაპიტალური მშენებლობის პროექტირების სპეციალისტთან.

სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნას ლოკალური ხარჯთაღრიცხვების სახით, პროექტის ნაწილების შემადგენლობის შესაბამისად ცალ-ცალკე ალბომებად ისე, რომ შესაძლებელი იყოს სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის განხორციელება ცალ-ცალკე (შესაბამისი ხარჯთაღრიცხვით, ნახაზებით და სპეციპიკაციებით) პროექტში კორექტირების შეტანის გარეშე.

პრეტენდენტმა საჭიროების შემთხვევაში (საკუთარი ხარჯებით) უნდა უზრუნველყოს პროექტის განხორციელების პროცესში საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით კონსულტაციის გაწევა, საჭიროების შემთხვევაში სამშენებლო ობიექტზე მისვლა მაქსიმუმ 2 (ორი) კალენდარული დღის განმავლობაში, საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება და ოფიციალური კორექტირებული დოკუმენტაციის წარმოდგენა მიმართვიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

პრეტენდენტი პასუხისმგებელია პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის სრულყოფილებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ვალდებულია აუნაზღაუროს შემსყიდველს, მის მიერ დაშვებული უზუსტობით/შეცდომით გამოწვეული ნებისმიერი მატერიალური და არამატერიალური ზიანი.

შენიშვნა: პრეტენდენტი ვალდებულია პროექტის მომზადების დროს აქტიურად ითანამშრომლოს შემსყიდველ ორგანიზაციასთან.

2.3. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს ანალოგიური ხასიათის, სირთულის და

შინაარსის (წყალარინების სისტემების, ხიდები/მილხიდები და გზების პროექტირება) მომსახურების ჯამურად არანაკლებ 5000,0 (ხუთი ათასი) ლარის ღირებულების შესრულების გამოცდილება. გაწეული მომსახურების ჩამონათვალი და მათი ღირებულებები წარმოდგენილი უნდა იყოს ქვემოთ მოცემული ცხრილის (დანართი №2) სახით. ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების გასაწევად პრეტენდენტს უნდა ჰყავდეს შესაბამისი პროფილის (საავტომობილო გზებისა და ხიდების, და სხვა ხაზოვანი ნაგებობების) კვალიფიციური სპეციალისტები.

- მოთხოვნის შემთხვევაში პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის მომსახურების შესრულების შესახებ მოწოდებული ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტები (ხელშეკრულებებისა და მიღება-ჩაბარების აქტების ასლები) ან/და შემსყიდველი ორგანიზაციისაგან სარეკომენდაციო წერილი.

შენიშვნა (1): საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია უზრუნველყოს წარმოდგენილი ინფორმაციის გადამოწმება.

2.4. სატენდერო წინადადების ღირებულება

- 2.4.1. სატენდერო წინადადების ღირებულება, წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნული ტენდერით გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების სრულყოფილად გაწევასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის გათვალისწინებით.
- 2.4.2. ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას.
- 2.4.3. სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში.
- 2.4.4. გაწეული მომსახურების მიღება მოხდება 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

2.5. ანგარიშსწორების პირობები

- 2.5.1. ანგარიშსწორებას „შემსყიდველი“ განხორციელებს, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების გათვალისწინებით შესაბამისი საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა (ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტის) და წერილობითი მომართვის წარდგენიდან 25 (ოცდახუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.
- 2.5.2. ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ განხორციელდება გაწეული მომსახურების მიღების შემდეგ, უნაღდო ანგარიშსწორების სახით, „მიმწოდებლის“ საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვის ფორმით.
- 2.5.3. წინასწარი გადახდის მექანიზმი (ავანსი) არ გამოიყენება.

3. სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაცია

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების დაფინანსების წყარო: ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

3.1. პრეტენდენტის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებსა და ინფორმაციას:

- ხარჯთაღრიცხვის შევსებულ ფორმას (დანართი №1-ის შესაბამისად);
- ინფორმაციას ანალოგიური მომსახურების შესრულების გამოცდილების შესახებ (ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნას დანართი №2-ის შესაბამისად);
- პრეტენდენტის საინფორმაციო ბარათი (დანართი №3-ის შესაბამისად).

3.2. 3.1. პუნქტით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია წარმოადგენს პრეტენდენტის სატენდერო წინადადებას, რომელიც უნდა აიტვირთოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადების შეთავაზებისას.

3.3. პრეტენდენტს უფლება არა აქვს წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

3.4. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

3.5. სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად მოთხოვნილი ინფორმაციის ან დოკუმენტაციის წარუდგენლობის შემთხვევაში შესაძლოა მოხდეს ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.

3.6. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. ამ შემთხვევაში მოცემული სატენდერო წინადადების ინტერპრეტაციის დროს, უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის უპირატესობის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

4. სატენდერო წინადადების მომზადება და შევსების წესი

4.1. სატენდერო წინადადება და დანართები უნდა მომზადდეს შესაბამისი ფორმის გამოყენებით, რომელიც წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციით. ფორმები უნდა შეივსოს ტექსტის გადაკეთების გარეშე, თითოეული ცარიელი ადგილი უნდა შეივსოს მოთხოვნილი ინფორმაციით.

4.2. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია უნდა იყოს სათანადოდ უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

4.3. პრეტენდენტის სატენდერო წინადადება ძალაში რჩება „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ.“ „რ“ ან „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპების დადგომამდე.

4.4. სხვა დამატებითი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შევსების წესი განისაზღვრება დამატებით მოთხოვნებისა და/ან შენიშვნის სახით.

შენიშვნა (1): პრეტენდენტი აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობით ავტომატურად ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია სატენდერო დოკუმენტაცია და ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის.

შენიშვნა (2): შესაძლებელია პრეტენდენტს სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების შესახებ და ასევე, გამარჯვების შემთხვევაში საჭირო შეტყობინებები (სათანადოდ უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი) გაეგზავნოს ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

5. გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა

პრეტენდენტის დასახელება: _____

№	საპროექტო მომსახურების დასახელება	ობიექტის მისამართი	მომსახურების ღირებულება (ლარი)
1	2	3	4
1	ღია სანიაღვრე არხის მოწყობა (აღდგენა) ბეტონის კედლებით და ფუძით 40,0 გრ.მ. გამტარიანობით 40X40სმ.	ყაზბეგის ქუჩა	
2	ღია სანიაღვრე არხის მოწყობა (აღდგენა) ბეტონის კედლებით და ფუძით 1200,0 გრ.მ. გამტარიანობით 70X80სმ.	თაბუკაშვილის ქუჩა	
3	ღია სანიაღვრე არხის მოწყობა (აღდგენა) ბეტონის კედლებით და ფუძით 350,0 გრ.მ. გამტარიანობით 40X40სმ.	გრიბოედოვის და გორის ქუჩა (ბოლო მონაკვეთი)	
4	ღია სანიაღვრე არხის მოწყობა (აღდგენა) ბეტონის კედლებით და ფუძით 80,0 გრ.მ. გამტარიანობით 100X120სმ. დახურული მილგაყვანილობით, მიმღები და სათვალთვალო ჭებით წყალსაწრეტი კოლექტორის მოწყობა 80მ. დ=700მმ.	თეთრი გიორგის ქუჩა (დასაწყისში მდ. ჩხოუშის მიმდებარედ)	
5	ღია სანიაღვრე არხის მოწყობა ბეტონის კედლებით და ფუძით 480,0 გრ.მ. გამტარიანობით 60X60სმ.	შენგელიას ქუჩა	
6	ღია სანიაღვრე არხის მოწყობა (აღდგენა) ბეტონის კედლებით და ფუძით 120,0 გრ.მ. გამტარიანობით 70X60სმ.	ალ. ჭავჭავაძეს ქუჩა (შარტავასა და გურამიშვილის ქუჩებს შორის)	
7	ღია სანიაღვრე არხის მოწყობა (აღდგენა) ბეტონის კედლებით და ფუძით 80,0 გრ.მ. გამტარიანობით 40X40სმ. და 105,0 გრ.მ. გამტარიანობით 50X50სმ არსებული ღია სანიაღვრე არხის ამოწმენდა 75მ.	ტექსელის ქუჩა და გაგრძელებაზე ბაგრატიონის ქუჩა	
8	ღია სანიაღვრე არხის მოწყობა (აღდგენა) ბეტონის კედლებით და ფუძით 400,0 გრ.მ. გამტარიანობით 40X40სმ.	მესხის ქუჩა	
9	ღია სანიაღვრე არხის მოწყობა (აღდგენა) ბეტონის კედლებით და ფუძით 60,0 გრ.მ. გამტარიანობით 70X70სმ. დახურული მილგაყვანილობით, მიმღები და სათვალთვალო ჭებით წყალსაწრეტი კოლექტორის მოწყობა 750მ. დ=700მმ.	ბაკურიანის ქუჩა (ბორჯომის ქუჩის, ჯიქიას ქუჩისა და მათ შორის საკარმიდამო ნაკვეთების გავლით)	
10	ღია სანიაღვრე არხის მოწყობა (აღდგენა) ბეტონის კედლებით და ფუძით 200,0 გრ.მ. გამტარიანობით 60X50სმ.	რუსთაველის ქუჩა რკინიგზის სადგურის წინ	
11	ღია სანიაღვრე არხის მოწყობა (აღდგენა) ბეტონის კედლებით და ფუძით 45,0 გრ.მ. გამტარიანობით 40X40სმ.	შოთა სართანიას შესახვევი	
12	ღია სანიაღვრე არხის მოწყობა (აღდგენა) ბეტონის კედლებით და ფუძით 450,0 გრ.მ. გამტარიანობით 40X50სმ.	ესებუას ქუჩა	

13	ღია სანიაღვრე არხის მოწყობა(აღდგენა) ბეტონის კედლებით და ფუძით 100,0 გრ.მ. გამტარიანობით 50X40სმ.	ლაზისა და თბილისის ქუჩების გადაკვეთებზე	
14	ღია სანიაღვრე არხის მოწყობა(აღდგენა) ბეტონის კედლებით და ფუძით 200,0 გრ.მ. გამტარიანობით 40X50სმ.	წმინდა ნინოს ქუჩა	
15	250 გრ.მ. ღია სანიაღვრე არხის მოწყობა 60X50სმ	ბაშაურის ქუჩა	
16	80 გრ.მ. ღია სანიაღვრე არხის მოწყობა 60X50სმ 220 გრ.მ. დახურული სანიაღვრე არხის მოწყობა დიამეტრი 600-700სმ	კედიას ჩიხი	
ჯამი (ლარი)			

პრეტენდენტის ხელმოწერა _____
(ხელმოწერის თანამდებობა, სახელი, გვარი)

შენიშვნა (1): საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შემსყიდველ ორგანიზაციას უნდა წარედგინოს ბეჭდური სახით 3 (სამი) ეგზემპლარად (ყველა გვერდი უნდა იქნეს სათანადოდ უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული) და მისი შესაბამისი ელექტრონული ვარიანტი. ელექტრონულ ვარიანტში ტექსტური დოკუმენტაცია (ხარჯთაღრიცხვა, განმარტებითი ბარათი და ა.შ.) უნდა იყოს დაბეჭდილი შრიფტით Sylfaen, Excel ან Word-ის ფორმატში ჩაწერილი CD ან DVD დისკზე) ხოლო ნახაზები და სქემატური ნაწილი უნდა იყოს PDF ფორმატში (DWG, PLN და PDF ფაილებით და archicad-ის ფორმატში) ამასთანავე, PDF ფორმატის თითოეული ფაილის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 7 მეგაბაიტს.

შენიშვნა (2): სატენდერო წინადადების ფასი უნდა მოიცავდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სრულყოფილად გაწევასთან დაკავშირებული ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

შენიშვნა (3): სატენდერო წინადადების ფასი უნდა დაფიქსირდეს დღგ-ს გათვალისწინებით, მიუხედავად იმისა, არის თუ არა პრეტენდენტი დღგ-ს გადამხდელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

შენიშვნა (4): გამარჯვებულ პრეტენდენტს დამატებით მოეთხოვება მის მიერ ვაჭრობის დამატებითი რაუნდების შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასის შესაბამისი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განფასება, ზემოთ ნაჩვენები ფორმის შესაბამისად.

6. ინფორმაცია ანალოგიური მომსახურების შესრულების გამოცდილების შესახებ

№	გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი (თითოეული ობიექტის დასახელებით)	შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება (ლარი)	სახარჯთაღრიცხვო ღირებულება (ლარი)	მომსახურების გაწევის ვადები		შესრულებული მომსახურების მოკლე აღწერილობა
					დაწყება (თარიღი: რიცხვი, თვე, წელი)	დასრულება (თარიღი: რიცხვი, თვე, წელი)	
1	2	3	4	5	6	7	8

პრეტენდენტის ხელმოწერა _____
(ხელმოწერის თანამდებობა, სახელი, გვარი)

შენიშვნა:

- ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს ინფორმაცია საპროექტო მომსახურების შესრულების გამოცდილების შესახებ, ზემოთ მოყვანილი ცხრილის სახით;
- ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის (წყალარინების სისტემების, ხიდები/მილხიდები და გზების პროექტირება) მომსახურების ჯამურად არანაკლებ 5000,0 (ხუთი ათასი) ლარის ღირებულების შესრულების გამოცდილება. პრეტენდენტმა ზემოთ მოცემული ცხრილის სახით უნდა წარმოადგინოს იმ პროექტების ჩამონათვალი, რომლიც მან შეასრულა მოცემული პერიოდის განმავლობაში. ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების გასაწევად პრეტენდენტს უნდა ჰქავდეს შესაბამისი პროფილის (საავტომობილო გზებისა და ხიდების, და სხვა ხაზოვანი ნაგებობების) კვალიფიციური სპეციალისტები.;
- მოთხოვნის შემთხვევაში პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს ანალოგიური მომსახურების შესრულების შესახებ მოწოდებული ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტები (ხელშეკრულებებისა და მიღება-ჩაბარების აქტების ასლები) ან/და შემსყიდველი ორგანიზაციისაგან სარეკომენდაციო წერილი.

7. პრეტენდენტის საინფორმაციო ბარათი

ინფორმაცია პრეტენდენტის შესახებ	
პრეტენდენტის (ფიზიკური და იურიდიული პირის) სახელწოდება/დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი (ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადი ნომერი):	
პრეტენდენტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი :	
დაფუძნების წელი ან/და სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი:	
მომსახურე ბანკის დასახელება, ბანკის კოდი და ანგარიშწორების ანგარიში:	
პრეტენდენტის უფლებამოსილი წარმომადგენელი (სახელი, გვარი, ოფისის ტელეფონის ნომერი, მობილური, ელ.ფოსტის მისამართი)	

პრეტენდენტის ხელმოწერა _____
 (ხელმოწერის თანამდებობა, სახელი, გვარი)

8. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

(პროექტი)

ქ. ზუგდიდი

„---“ „-----“, 2015 წელი

ერთის მხრივ, ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის ირაკლი გოგობიას სახით და მეორეს მხრივ, (შემდგომში „მიმწოდებელი“) მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებისა და „მიმწოდებლის“ სატენდერო წინადადების საფუძველზე, განხორციელებული ერთეულოვანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (SPA.....) ფარგლებში ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია კისრულობს გაუწიოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, ხოლო „შემსყიდველი“ ვალდებულია კისრულობს აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ გაწეული მომსახურების ღირებულება, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
- 1.2 ხელშეკრულების საგანია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის სახსრებით, „შემსყიდველის“ მიერ „მიმწოდებლისაგან“ მომსახურების (CPVკოდი:) შესყიდვა, წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

- 2.1 გასაწევი მომსახურების ღირებულება, მომსახურების სრულყოფილად გაწევასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული ყველა გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს (.....) ლარს.

3. მომსახურების გაწევის პირობები

- 3.1 მომსახურების გაწევა „მიმწოდებლის“ მიერ განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან
- 3.2 მომსახურების გაწევის პარალელურად, „მიმწოდებელი“ ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა „შემსყიდველისთვის“ (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტი).

4. მიღება-ჩაბარების წესი

- 4.1 გაწეული მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

- 4.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღებას ახორციელებენ „შემსყიდველისა“ და „მიმწოდებლის“ მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც მომსახურების მიღების შედეგების მიხედვით აფორმებენ შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტს.
- 4.3 საბოლოო მიღება - ჩაბარებამდე წარმოდგენილ უნდა იქნას საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზის აქტი.
- 4.4 გაწეული მომსახურების მიღება მოხდება 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

- 5.1 ანგარიშწორება „მიმწოდებელთან“ განხორციელდება გაწეული მომსახურების მიღების შემდეგ, უნაღდო ანგარიშსწორების სახით, „მიმწოდებლის“ საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვის ფორმით.
- 5.2 ანგარიშსწორებას „შემსყიდველი“ განახორციელებს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების გათვალისწინებით შესაბამისი საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტის) წარდგენიდან 25 (ოცდახუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

- 6.1.1 უზრუნველყოს გაწეული მომსახურების შესაბამისი ანაზღაურების გადახდა „მიმწოდებლისათვის“, წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით;
- 6.1.2 გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი.

6.2 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

- 6.2.1 „მიმწოდებლისაგან“ მოითხოვოს მომსახურების გაწევა, ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით და განსაზღვრულ ვადაში;
- 6.2.2 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება;
- 6.2.3 დაუბრკოლებლივ განახორციელოს „მიმწოდებლის“ მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის შემოწმება;
- 6.2.4 „მიმწოდებლისაგან“ მოითხოვოს გაწეული მომსახურების შესახებ დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

6.3 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

- 6.3.1 ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით გასწიოს მაღალკვალიფიციური მომსახურება;
- 6.3.2 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში „შემსყიდველს“ წარუდგინოს გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები;
- 6.3.3 საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს „შემსყიდველის“ მიერ გამოვლენილი ყველა ნაკლის აღმოფხვრა, რომელიც გამოწვეულია გაწეული მომსახურებიდან;
- 6.3.4 მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით, მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს „შემსყიდველს“ გაწეული მომსახურების შესახებ შესაბამისი პირველადი დოკუმენტაციის ასლები და ანგარიში, რომლის შემდეგაც ფორმდება დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტი;
- 6.3.5 დაუყოვნებლივ აცნობოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ;
- 6.3.6 ხელშეკრულების შესრულების პერიოდში სუბკონტრაქტების დადების აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს „შემსყიდველს“ შესაბამისი თანხმობის მისაღებად.

6.4 „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

6.4.1 „შემსყიდველისგან“ მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.

7. უფლებების გადაცემა

7.1 მხარეებს არა აქვთ უფლება მეორე მხარესთან წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცენ მესამე მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობანი.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

8.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისათვის“, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე (ათი პროცენტი) მეტი ოდენობით გაზრდა.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს „შემსყიდველი“ არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

9.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. შეტყობინება

10.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ფაქსის ან ელექტრონული სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

10.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შესრულების საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე ასევე დაუყოვნებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2 იმ შემთხვევაში თუკი ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

12. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

12.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულება გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას,

მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

- 12.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1%-ის ოდენობით, რომლის გადახდა უნდა მოხდეს „შემსყიდველის“ წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.
- 12.3 თუ „მიმწოდებელი“ პირგასამტეხლოს სახით გადახდის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღეში არ გადაიხდის პირგასამტეხლოს, მას დამატებით დაეკისრება ჯარიმა, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის პირგასამტეხლოს თანხის 0,15%-ის ოდენობით.
- 12.4 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
- 12.5 „შემსყიდველი“ უფლებას იტოვებს მოახდინოს პირგასამტეხლოს გამოქვითვა „მიმწოდებლისათვის“ ასანაზღაურებელი თანხიდან.
- 12.6 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.
- 12.7 პასუხისმგებლობის სხვა ფორმები, რაც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებაში, განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

13. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

- 13.1 ხელშეკრულების დამდები მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეურულებლობის გამო მეორე მხარე, უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება.
- 13.2 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე მაინც, ამასთან, უნდა მიეთითოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და მისი ამოქმედების თარიღი.
- 13.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა, არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
- 13.4 მხარეთა შორის გაფორმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი წარმოადგენს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძველს.

14. ფორს-მაჟორი

- 14.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და სხვა საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწვეს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
- 14.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
- 14.3 მხარეს, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

15. დავების გადაწყვეტის წესი

- 15.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

- 16.1 „შემსყიდველს“ ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.
- 16.2 ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს „შემსყიდველის“ მიერ გამოყოფილი სპეციალური ინსპექტირების ჯგუფი, შემდეგი შემადგენლობით:
- 16.3 ინსპექტირება განხორციელდება წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე.
- 16.4 „შემსყიდველის“ მიერ გამოყოფილი ინსპექტირების ჯგუფი უფლებამოსილია განახორციელოს გაწეული ან/და გასაწევი მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების კონტროლი.
- 16.5 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრა.
- 16.6 „მიმწოდებელი“ ვალდებულია მომსახურების განხორციელების დროს ინსპექტირების ჯგუფს შემოწმების პროცესში აღმოუჩინოს ხელშეწყობა, არ შეუქმნას ხელისშემშლელი პირობები და წარუდგინოს მომსახურების გაწვასთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები.
- 16.7 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი“ კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

17. დასკვნითი დებულებანი

- 17.1 მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გადრმავეების სურვილით.
- 17.2 მხარეები ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას, დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.
- 17.3 ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების შესახებ და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდება შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.
- 17.4 ხელშეკრულების დებულებებში ცვლილებების ან დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის შეთანხმების წერილობითი გაფორმების შედეგად.
- 17.5 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს წლის „....“ „.....“-მდე.
- 17.6 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 4 (ოთხი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად, 3 (სამი) ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან“, ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს“.

18. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

**9. სატენდერო კომისიის აპარატის იმ წევრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია,
რომელსაც უფლება აქვს გასცეს ინფორმაცია და განმარტებები
შესყიდვის პროცედურების შესახებ**

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: -
დავით ხუნჯუა - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, მისამართზე: ქ. ზუგდიდი, ზ.
გამსახურდიას გამზ. №45, ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული
შენობა, მე-4 სართული.

საკონტაქტო ტელეფონი, მობ.: +995 591 44 53 55.